საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

ადმინისტრაციული მიწერილობა

№ 002691

„17" ივნისი 2024 წ. ქ. თბილისი
(შედგენის ადგილი)

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სარგებლობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევების აღმოსაფხვრელი ღონისძიებების გატარების ან რაიმე ქმედებებისაგან თავის შეკავების შესახებ

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი
(ადმინისტრაციული მიწერილობის გამცემი ორგანოს დასახელება, იურიდიული მისამართი)
ქ. თბილისი გ. ნიკოლაძის I ჩიხი №1

ადმინისტრაციული მიწერილობის ობიექტი: შპს „ხოლარ ჯნ" (ს/კ 415596858)
(ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი, გვარი,
იურ. მის: ჭიათურის რაიონი სოფელი ნავთლუღი; დირექტორ[redacted]
პირადობის მოწმობის ნომერი, საცხოვრებელი ადგილი, იურიდიული პირის შემთხვევაში – იურიდიული პირის სახელწოდება, იურიდიული მისამართი)
მინისტრის 2019 წლის 7 აგვისტოს №2-119 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება

დარღვევები, რომლებზეც გაიცემა ადმინისტრაციული მიწერილობა: იხილეთ №002691
ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1
(დარღვევების ჩამონათვალი, რომლებზეც გაიცემა მიწერილობა)

გასატარებელი ღონისძიებები: იხილეთ №002631 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №2

(დავალების არსი, საჭიროების შემთხვევაში, შესრულების ვადები)

თან ერთვის დანართი: 5 ფურცელი

(დანართის №, გვერდების რ-ბა, დანართების არარსებობის შემთხვევაში დაისმევა z)

პასუხისმგებლობა ადმინისტრაციული მიწერილობის შეუსრულებლობის შემთხვევაში:

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79⁸ მუხლის შენიშვნის პირველი ნაწილის შესაბამისად

(კანონის მუხლ(ებ)ი, შესაბამისი პუნქტი ან ნაწილი, ქვეპუნქტი)

მიწერილობის გამცემი თანამდებობის პირი: გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ოცხოსის მთაწმინდა - მთავარი სახელმწიფო ინსპექტორი ნელი კობულაძე

(თანამდებობა, სახელი, გვარი)

თანამდებობის პირის ხელმოწერა: ნ. კობულაძე

ადმინისტრაციული მიწერილობის მიმღები (ივსება პირდაპირი ჩაბარების შემთხვევაში):

ივანენკო ფოსტით

(რეგულირების ობიექტის წარმომადგენელი პირი, მისი ხელმოწერა და თარიღი)

2024 წლის 17 ივნისის №002691 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის 2023 წლის 15 სექტემბრის №DES82300000058 ბრძანების საფუძველზე, დეპარტამენტის უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ, განხორციელდა ჭიათურაში, საჩხერის გზატკეცილის №6-ში განთავსებული, შპს „როიალ მნ"-ის (ს/კ 415596858) კუთვნილ სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავების (მანგანუმის მადნის გამდიდრების) საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 7 თებერვლის №2-119 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის გეგმიური შემოწმება.

შემოწმების შედეგად გამოვლინდა შემდეგი დარღვევები:

1. 2019 წლის 07 თებერვლის №2-119 ბრძანების **მე-3 პუნქტის** შესაბამისად, შპს „როიალ მნ" არ ახორციელებს საქმიანობას გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, ტექნოლოგიური სქემის, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, გარემოსდაცვითი მონიტორინგის და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმების, დასკვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად. კერძოდ:

1.1. საწარმოს ტერიტორიის სამხრეთ - აღმოსავლეთით (GPS კოორდინატები: X-0361895 Y-4684760) განთავსებული რკინა-ბეტონის კონსტრუქციის წყლის გამწმენდი ნაგებობა (სალექარი), გადაფარულია შლამითა და მიწის ფენით, დამსკდარია ზედა შრე, ამოსულია ბალახი და ხე-მცენარეები და შეუძლებელია სალექარის სექციების რაოდენობის დადგენა, (გზშ ანგარიშით გათვალისწინებულია 4 სექციანი სალექარი), ასევე შეუძლებელია სალექარში ჩამდინარე წყლის ჩაშვების წერტილის იდენტიფიცირება. კომპანიას, არ აქვს მოწყობილი სალექარიდან გაწმენდილი წყლის ტექნოლოგიაში დასაბრუნებლად-სატუმბი სადგური;

1.2. სალექარიდან ამოღებული შლამების გაუწყლოების მიზნით, სალექარის ირგვლივ მობეტონებულ ტერიტორიაზე არ არის მოწყობილი დრენაჟი-ნაწრეტი წყლის სალექარში დასაბრუნებლად. სალექარის კიდეზე დაყრილია შლამები, რომელზედაც ამოსულია ბალახი და ხე-მცენარეები;

1.3. სანიაღვრე წყლების სალექარისაკენ მისამართად, ტერიტორიის ირგვლივ არ არის მოწყობილი ზღუდეები, რომლებიც უზრუნველყოფს სანიაღვრე წყლების შეკავებას, შეკრებას და გამწმენდში მიმართვას. ასევე, სანიაღვრე წყლები არ არის ჩართული ბრუნვითი წყალმომარაგების სისტემაში;

1.4. საწარმოს ტერიტორიაზე არ არის გამოყოფილი სათავსო, სახიფათო ნარჩენების დროებით განთავსების მიზნით, საწარმოს არ ჰყავს გარემოსდაცვითი მმართველი, არ ხდება წარმოქმნილი, დაგროვილი და გატანილი ნარჩენების მოცულობის აღრიცხვა;

2024 წლის 17 ივნისის №002691 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1

1.5. გზშ ანგარიშის გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმის თანახმად, ექსპლუატაციის პერიოდში არ არის ჩატარებული ატმოსფერული ჰაერის ყოველკვარტალური და ხმაურის (წელიწადში ორჯერ) ინსტრუმენტული მონიტორინგი, ასევე არ არის ნაწარმოები ატმოსფერული ჰაერისა და წყლის პირველადი აღრიცხვის ფორმები (პად-1; პად-2; პად-3;პად-4; პად-5; პად-6);

1.6. გზშ ანგარიშის შესაბამისად, ობიექტის ხანგრძლივი პერიოდით საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში, კომპანიას არ შეუქმნია სალიკვიდაციო ჯგუფი, რომელიც შედგენდა ექსპლუატაციის ხანგრძლივი დროით შეწყვეტის გეგმას და შეათანხმებდა უფლებამოსილ ორგანოებთან;

2. 2019 წლის 7 თებერვლის №2-119 ბრძანების **მე-4 პუნქტის** შესაბამისად, კომპანია არ უზრუნველყოფს „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში“ წარმოდგენილი გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების პარამეტრების დაცვასა და შესაბამისად, დადგენილი ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების შესრულებას;
3. 2019 წლის 7 თებერვლის №2-119 ბრძანების **მე-5 პუნქტის** შესაბამისად, შპს „როიალ მნ“ ნარჩენების მართვას არ ახორციელებს ნარჩენების მართვის კოდექსის და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესაბამისად;
4. 2019 წლის 7 თებერვლის №2-119 ბრძანების **მე-6 პუნქტის** შესაბამისად, შპს „როიალ მნ“-ის მიერ, ნარჩენების მართვის კოდექსისა და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 4 აგვისტოს №211 ბრძანებით დამტკიცებული, კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის განხილვისა და შეთანხმების წესის შესაბამისად, არ უზრუნველყო კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის (რომელიც ასევე უნდა მოიცავდეს საწარმოო ნარჩენების - შლამების მართვის საკითხებსაც) შესათანხმებლად სამინისტროში წარდგენა;
5. 2019 წლის 7 თებერვლის №2-119 ბრძანების **მე-7 პუნქტის** შესაბამისად, კომპანიას საწარმოს ტერიტორიაზე არ აქვს მოწყობილი სამრეცხაო, კარიერიდან წამოსული მანქანების ძარის და საბურავების გარეცხვის მიზნით და არ ახდენს მათ რეცხვას. ასევე, შესათანხმებლად არ აქვს წარდგენილი შესაბამის უფლებამოსილ ორგანოში, მანქანების ძარის და საბურავების რეცხვის შედეგად წარმოქმნილი წყლის მართვის ტექნიკური გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაცია;
6. 2019 წლის 7 თებერვლის №2-119 ბრძანების **მე-11 პუნქტის** შესაბამისად, კომპანია ექსპლუატაციის ეტაპზე არ უზრუნველყოფს გამწმენდი ნაგებობის ეფექტურობის კონტროლს და საჭიროების შემთხვევაში დამატებითი ღონისძიებების განსაზღვრას, მათ შორის გამწმენდის ეფექტურობის გაზრდას;
7. 2019 წლის 7 თებერვლის №2-119 ბრძანების **მე-12 პუნქტის** თანახმად, კომპანია არ უზრუნველყოფს შლამებისა და მეორადი პროდუქციის (კუდების) მართვის ღონისძიებების შესახებ დეტალური ინფორმაციის წელიწადში ერთხელ შესაბამის უფლებამოსილ ორგანოში წარდგენას.

2024 წლის 17 ივნისის №002691 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1

შემოწმების შედეგად გამოვლენილ დარღვევებზე, 2023 წლის 30 ოქტომბერს, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79^8 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, შპს „როიალ მნ"-ის მიმართ, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ № 081663 ოქმი, რომელიც განსახილველად გადაეგზავნა საჩხერის რაიონულ სასამართლოს.

სასამართლომ, 2023 წლის 25 დეკემბრის № 4/199-2023 დადგენილებით, კომპანია სცნო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79^8 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებაში, ხოლო ამავე კოდექსის 22-ე მუხლის საფუძველზე გაათავისუფლა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან და გამოუცხადა სიტყვიერი შენიშვნა. დღეს არსებული მდგომარეობით, დადგენილება შესულია კანონიერ ძალაში.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 46-ე მუხლი შესაბამისად, სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება ადგენს გონივრულ ვადას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესრულებისთვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „როიალ მნ"-ის მიმართ შემუშავდა დეპარტამენტის 2024 წლის 17 ივნისის №002691 ადმინისტრაციული მიწერილობა.

2024 წლის 17 ივნისის №002691 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №2

შპს „როიალ მნ“-ის (ს/კ 415596858) კუთვნილ სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავების (მანგანუმის მადნის გამდიდრების) საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 7 თებერვლის №2-119 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის გეგმიური შემოწმებისას გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად, **შპს „როიალ მნ “ ვალდებულია:**

1. ადმინისტრაციული **მიწერილობის ჩაბარებიდან** საქმიანობა განახორციელოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, ტექნოლოგიური სქემის, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, გარემოსდაცვითი მონიტორინგის და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმების, დასკვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად (2019 წლის 07 თებერვლის №2-119 ბრძანების **მე-3 პუნქტი**), მათ შორის:

1.1. **საწარმოს ექსპლუატაციის განახლებამდე უზრუნველყოს:**
- წყლის გამწმენდი ნაგებობის (სალექარის), მოწყობა გზშ ანგარიშის შესაბამისად;
- სალექარიდან გაწმენდილი წყლის ტექნოლოგიაში დასაბრუნებლად - სატუმბი სადგურის მოწყობა;
- სალექარიდან ამოღებული შლამების გაუწყლოების მიზნით, სალექარის ირგვლივ მობეტონებულ ტერიტორიაზე ნაწრეტი წყლის სალექარში დასაბრუნებლად, დრენაჟის მოწყობა;
- სანიაღვრე წყლების სალექარისაკენ მისამართად ტერიტორიის ირგვლივ ზღუდეებს მოწყობა, რომლებიც უზრუნველყოფს სანიაღვრე წყლების შეკავებას, შეკრებას და გამწმენდში მიმართვას;
- სანიაღვრე წყლები ჩართვა ბრუნვითი წყალმომარაგების სისტემაში;
- სახიფათო ნარჩენების დროებითი განთავსებისთვის, სათავსის გამოყოფა/მოწყობა;

1.2. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან არაუგვიანეს **2 (ორი) თვის ვადაში** უზრუნველყოს სალექარის კიდეზე დაყრილი შლამებისაგან (რომელზედაც ამოსულია ბალახი და ხე-მცენარეები) ტერიტორიის გაწმენდა, ხოლო მათი მართვა უზრუნველყოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ;

1.3. **საწარმოს ექსპლუატაციის განახლებამდე უზრუნველყოს** ნარჩენების მართვის კოდექსის მე-15 მუხლის თანახმად გარემოსდაცვითი მმართველის დანიშვნა და შესაბამისი ინფორმაციის (გარემოსდაცვითი მმართველის სახელი და გვარი) სამინისტროში წარდგენა, ხოლო **საქმიანობის განახლებიდან დაუყოვნებლივ** დაიწყოს და შემდგომ მუდმივად განახორციელოს ნარჩენების (წარმოქმნილი, დაგროვილი და გატანილი) მოცულობის/რაოდენობის აღრიცხვა;

1.4. **საწარმოს ექსპლუატაციის განახლებიდან დაუყოვნებლივ დაიწყოს და შემდგომ მუდმივად უზრუნველყოს,** გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმის შესაბამისად, ატმოსფერული ჰაერის ყოველკვარტალური და ხმაურის (წელიწადში ორჯერ) ინსტრუმენტული მონიტორინგი, ასევე ატმოსფერული ჰაერისა და წყლის პირველადი აღრიცხვის (პად-1; პად-2; პად-3;პად-4; პად-5; პად-6) დოკუმენტაციის წარმოება;

1.5. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის ვადაში,** უზრუნველყოს სალიკვიდაციო ჯგუფის შექმნა, რომელიც შექმნიდან **არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის ვადაში,** შეიმუშავებს ექსპლუატაციის ხანგრძლივი

დროით შეწყვეტის გეგმას. ამასთან, გეგმის **შემუშავებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო** დღის ვადაში უზრუნველყოს უფლებამოსილ ორგანოებთან შესათანხმებლად წარდგენა;

2. **საწარმოს ექსპლუატაციის განახლებიდან დაუყოვნებლივ დაიწყოს და შემდგომ მუდმივად უზრუნველყოს** „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში" წარმოდგენილი გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების პარამეტრების დაცვა და შესაბამისად, დადგენილი ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების შესრულება (2019 წლის 7 თებერვლის №2-119 ბრძანების **მე-4 პუნქტი**);
3. **საწარმოს ექსპლუატაციის განახლებიდან დაუყოვნებლივ დაიწყოს და შემდგომ მუდმივად უზრუნველყოს** ნარჩენების მართვა ნარჩენების მართვის კოდექსის და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესაბამისად (2019 წლის 07 თებერვლის №2-119 ბრძანების **მე-5 პუნქტი**);
4. **საწარმოს ექსპლუატაციის განახლებამდე უზრუნველყოს**, ნარჩენების მართვის კოდექსისა და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 4 აგვისტოს №211 ბრძანებით დამტკიცებული, კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის განხილვისა და შეთანხმების წესის შესაბამისად, შედგენილი კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის შესათანხმებლად წარდგენა სამინისტროში, სადაც განხილული იქნება ასევე საწარმოო ნარჩენების - შლამების მართვის საკითხებიც, ხოლო შემდგომ ნარჩენების მართვა მუდმივად უზრუნველყოს შეთანხმებული გეგმის შესაბამისად (2019 წლის 7 თებერვლის №2-119 ბრძანების **მე-6 პუნქტი**);
5. **საწარმოს ექსპლუატაციის განახლებამდე უზრუნველყოს**, საწარმოს ტერიტორიაზე კარიერიდან წამოსული მანქანების ძარის და საბურავების გარეცხვის მიზნით სამრეცხაოს მოწყობა, ასევე მანქანების ძარის და საბურავების რეცხვის შედეგად წარმოქმნილი წყლის მართვის ტექნიკური გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაციის სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში შესათანხმებლად წარდგენა, ხოლო **საწარმოს ექსპლუატაციის განახლებიდან დაუყოვნებლივ დაიწყოს და შემდგომ მუდმივად უზრუნველყოს** ავტომობილების ძარის და საბურავების გარეცხვა (2019 წლის 7 თებერვლის №2-119 ბრძანების **მე-7 პუნქტი**);
6. **საწარმოს ექსპლუატაციის განახლებიდან დაუყოვნებლივ დაიწყოს და შემდგომ მუდმივად უზრუნველყოს** გამწმენდი ნაგებობის ეფექტურობის კონტროლი და საჭიროების შემთხვევაში დამატებითი ღონისძიებების განსაზღვრა, მათ შორის გამწმენდის ეფექტურობის გაზრდა (2019 წლის 7 თებერვლის №2-119 ბრძანების **მე-11 პუნქტი**);
7. **საწარმოს ექსპლუატაციის განახლებიდან დაუყოვნებლივ დაიწყოს და შემდგომ მუდმივად უზრუნველყოს** შლამებისა და მეორადი პროდუქციის (კუდების) მართვის ღონისძიებების შესახებ დეტალური ინფორმაციის წელიწადში ერთხელ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში, წარდგენა (2019 წლის 7 თებერვლის №2-119 ბრძანების **მე-12 პუნქტი**).